თემურ შაშიაშვილი:

სავარაუდოდ, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ამაზე არაფერი იცის და საქართველოს რკინიგზაში შექმნილი ვითარების შესახებ არასწორ ინფორმაციას აწვდიან!

პარტია „თეთრების“ თავმჯდომარე და „მეცნიერთა კონგრესის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, იმერეთის მხარის ლეგენდარული გუბერნატორი თემურ შაშიაშვილი საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს ეხმიანება და საქართველოს რკინიგზაში ვითარების შესასწავლად დამოუკიდებელი ჯგუფის შესვლას მოითხოვს, რადგან იქ არსებულ სავალალო მდგომარეობას ბიძინა ივანიშვილისაგან მიზანმიმართულად მალავენ:

— 2026 წლის 22 მარტს პატრიარქის დაკრძალვა იყო დიდი ქართული ფილოსოფიური სიმაღლის დღე. ბოლო ათწლეულების განმავლობაში, მხოლოდ ერთხელ ვნახე, როცა ყველა ტელევიზია იყო ქართული, თუმცა, მეორე დღიდანვე ყველა ტელევიზია გახდა ანტიქართული და ეს არის მწარე რეალობა!

მინდა, ეურჩიო საკუთარ თავს და ყველას, ვისაც საქართველოს მომავალი ადარდებს: პატრიარქის გარდაცვალების გამო მხოლოდ მწუხარების გამოხატვა არ არის მთავარი, აუცილებელია, კარგად წავიკითხოთ მისი ეპისტოლეები და ქადაგებანი. ჩვენ ამოვიღეთ და გავაანალიზეთ ეს გრანდიოზული მასალა: **200-მდე უაღრესად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემა აქვს დასმული პატრიარქს თავის ეპისტოლეებში!**

— სამწუხაროდ, ყველა მისი წინადადება იგნორირებულია!

— დიახ, პატრიარქის ყველა მკაფიოდ ჩამოყალიბებული წინადადება იგნორირებულია! მაგალითად, წინადადება, რომ **სახელმწიფო კაცების საკრებულო შეიქმნას** — იგნორირებულია! **მიწა არ გაიყიდოს** — იგნორირებულია! **საბადოები არ გაიყიდოს, ტყეები არ გაიყიდოს, მდინარეები არ გაიყიდოს** — ყველაფერი იგნორირებულია! მეტიც, ახლა მიდის საუბარი იმაზე, რომ რიონის ხეობა კიდევ ერთხელ გაიყიდოს; დიდი ნაწილი ისედაც გაყიდულია, მაგრამ ახლა ბოლომდე უნდათ, გაყიდონ!

პატრიარქის წინადადება, რომ ამ ქვეყანას ეროვნული თანხმობის ხელისუფლება სჭირდება, ასევე იგნორირებულია!

მივმართავ ხელისუფლებას: დასვით გარკვეული გუნდი, ამოვწეროთ, რა წინადადებები შემოგვთავაზა პატრიარქმა და გამოვაქვეყნოთ!

ხალხმა დაინახოს, რა სიბრძნით სავსე წინადადებები დაგვიტოვა მან. ამის შემდეგ, დავსვათ კითხვა: **როგორ ხელისუფლებამ გაითვალისწინა პატრიარქის შეხედულებანი?**

— ქართული მიწების უცხოელებზე გაყიდვა მართლაც მოულოდნელ ბოლოს ამ ქვეყანას, რაზეც პატრიარქი არაერთხელ ტეხდა განგაშს!

— ნახეთ ახლა, რა ხდება: დიდგორიც კი ლამის თბილისის შემადგენლობაში შედის და, იცით, რატომ? გახსოვთ, როგორი გამოსვლები იყო, რათა კონსტიტუციაში ჩაწერილიყო, რომ მიწა არ უნდა გაყიდულიყო? **ამ საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე დღევანდელი პრემიერ-მინისტრი გახლდათ.** თავიდან კონსტიტუციაში ეწერა, რომ მიწის გაყიდვა შეიძლებოდა. ამის გამო ხალხი გამოვიდა ქუჩაში... **პატრიარქი ამბობდა, რომ არც მეფეს, არც პრეზიდენტს და არც პატრიარქს არ ჰქონდა უფლება, გაეყიდა ქართული მიწა და არამარტო მიწა** — საქოვრები, მდინარეები, ტყეები... ამის შემდეგ,

— მოდით, ახლა გადავიდეთ იმ თემაზე, რასაც რკინიგზაში შექმნილი ბაკქანალია ჰქვია. როგორც ვიცი, თქვენ ეს საკითხი ღრმად შეისწავლეთ!

— დიახ, შევისწავლე და ჩვენი დასკვნა ასეთია: ქვეყანაში რეალური ეკონომიკა კვდება და სათამაშო ბიზნესი ვითარდება! თავშივე ძალიან მძიმე რამეს გეუბნებით:

სათამაშო ბიზნესში მუშაობს 22 ათასი კაცი, ხოლო ჭიათურის, ზესტაფონისა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნების სექტორში ჯამში დასაქმებულია ამის ნახევარი!

თანაც, სათამაშო ბიზნესში ხელფასები გაცილებით მაღალია, ვიდრე „ჭიათურმანგანუმის“ მაღაროელების, ფეროშენადნობთა ქარხნის თუ მეტალურგიული კომბინატის მუშებისა. ეს უკვე მიუთითებს იმაზე, რომ მთლიანი ეკონომიკური სექტორი პოლიტიზებული და კორუფციულია და აბსოლუტურად არ არის მიმართული საქართველოს მომავალზე. **დააკვირდით ციფრებს: საქართველოში სათამაშო ბიზნესის ბრუნვა შეადგენს თითქმის 100 მილიარდს!**

რაც შეეხება რკინიგზას, ის ძლიერი პოტენციალის მქონე, მაგრამ სტრუქტურულად სუსტი კომპანიაა. რკინიზის ღრმა რეფორმაზე 1992 წლიდან საუბრობენ. მას მერე 34-35 წელი გავიდა, მაგრამ საშველი არ ჩანს. **ასეთ მძიმე მდგომარეობაში საქართველოს რკინიგზა არასდროს ყოფილა.**

„საქართველოს რკინიგზაში უმაღლესი ადმინისტრაციის წარმომადგენელთა ხელფასები 25 ათასი ლარიდან იწყება, რასაც ემატება ბონუსები. რიგითი მემანქანის ხელფასი კი 1500 ლარია!“

დღეს საქართველოს რკინიგზას 1 მილიარდი დოლარი ვალი აქვს! წარმოგიდგენიათ? ყველაზე მოგებიანი ვინც უნდა იყოს, იმას აქვს 1 მილიარდი დოლარი ვალი!

— რა არის ამ დავალიანების მიზეზი?

— დარგის გაუბედურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ **საქართველოს რკინიგზა მმართველი პარტიისთვის საჭირო პიროვნებების, ძირითადად, არაპროფესიონალების მაღალანაზღაურებად თავშესაფრად გადაიქცა!** წინათ, არჩევნების დროს, ხალხს სასაფლაოებზე ან დასუფთავების სამსახურებში ასაქმებდნენ... ესენი იყვნენ ღარიბი ადამიანები, რომლებსაც 200-300 ლარს აძლევდნენ. **რკინიგზაში კი ასეთი აქტივისტი პირების ხელფასები 10 000 ლარიდან იწყება!** არადა, ამ დროს მემანქანე იღებს **1500-2000 ლარის ფარგლებში.** არადა, მემანქანე პირველი ნომერია, ხელისგულზე უნდა ვატარებდეთ და მათ აღზრდასა და მომზადებაზე დიდ რესურსს უნდა ვდებდეთ. სამწუხაროდ, ქვეყანაში საერთოდ არ არსებობს საქართველოს რკინიგზის სტრატეგიული ხედვა. ჩვენ გავხდით აბრეშუმის გზის მთავარი ქვეყანა, მაგრამ საქართველომ სტრატეგიულად ვერ გამოიყენა ვერც ნავთობსადენები, ვერც გაზსადენები და ვერც რკინიგზა. კი ბატონო, გავხსენით მარშრუტი: ჩინეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, ევროპა. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას, თუ პრაქტიკულად ვერ ამუშავდა?! **რკინიგზის ახალქალაქის მონაკვეთი რომ გავიყვანეთ და აზერბაიჯანისგან სესხი ავიღეთ, ეგ პროექტიც მკვდარია და არაფერი მუშაობს.**

ჩვენი ანალიზით, საქართველოში 2 მილიარდი კორუფციული ფული შემოვიდა იმისთვის, რათა გაეკეთებინათ ახალი ხაზი. დააკვირდით: ხაშური-ლიხი-წფა-მოლითი — ეს მონაკვეთი 1878 წლიდან არსებობს. **რა გვირაბებიც იქ თავის დროზე გაკეთდა, ისეთი ხარისხითაა აშენებული, ატომური ბომბიც კი ვერ დაშლის. ამ მონაკვეთზე დახრილობა 29 პროცენტამდეა და უნდოდათ, რომ ეს მაჩვენებელი დაეწიათ.** ამ აღმართზე შემადგენლობის გადასაყვანად საჭირო იყო 2-3 ელმავალი. დახარჯეს მილიარდები და ეშველონს ისევ 3 ელმავალი სჭირდება. დააკვირდით ელმავლების რაოდენობასაც: **საქართველოს 2001-2003 წლებში 400 ელმავალი ჰყავდა, დღეს ჰყავს მხოლოდ 40!**

— სად წავიდა, სად გაქრა ამდენი ელმავალი?

— დაქცეული, დანგრეული და გაყიდულია ყველაფერი! საქმე მხოლოდ ამაში არ არის. მატარებლით ხშირად ვმგზავრობ საქართველოში. ცხადია, მცნობენ და მელაპარაკებიან... სასწაული რამეები აქვთ ჩემთვის მოსაყოლი გამცილებლებსა და სხვა თანამშრომლებს. გუშინწინ ერთმა კაცმა მითხრა: **აკაკი ჩხაიძის შემდგომ რკინიგზას ხელმძღვანელი არ ჰყოლიაო!** წარმოგიდგენიათ?! 2003 წლის შემდეგ, 22 წლის წინათ წავიდა კაცი. დაიჭირეს... და იმის შემდეგ სასწაული რამეები მოხდა. **ეს პროცესი მხოლოდ ამ ხელისუფლების პირობებში არ დაწყებულა; პირველი დარტყმები რკინიგზამ ნაციონალური მოძრაობის დროს მიიღო. ამათ კი მერე არაფერი შეუცვლიათ.** ჩვენ ვამბობთ, რომ რკინიგზას ერთ-ერთი ყველაზე დიდი მომავალი აქვს და ქვეყნისთვის სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესია. დღეს ყველაზე კარგ

კვირგვინოსნები

ეფუფე შიო
საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე

უწმინდესობა როგორც იღვწოდა თავისი ცხოვრების განმავლობაში ჩვენი ერის მოსაქცევად, გასაერთიანებლად და გადასარჩენად, **გარდაცვალების შემდეგაც ამას განაგრძობს!**

„რეზონანსი“

მამა ვიორგი ზვიადაძე
საქართველოს ეკლესიის პროტოპრესვიტერი

კანონიკური წესია, რომ პატრიარქი სიცოცხლეში თუ არ დაასახელებს მოსაყდრეს, მაშინ წერს ანდერძს, **პატრიარქმა სიცოცხლეშივე დაადგინა მოსაყდრე, შესაბამისად, არავითარი ანდერძი არ არსებობს.**

„პირველი არხი“

ანდრია ჯაფარიძე
საპატრიარქოს სა ზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი

პატრიარქმა თავისი მოსაყდრის გამოცხადების შემდეგ მითხრა — **რაც უნდა ეწეროს ანდერძში, ის დავწერე და გამოვაცხადე ხმამაღლა, რომ აღარ ჰქონდეთ ბჭობა, რა წერია ანდერძშიო.**

„პირველი არხი“

ვაჟა შარვაშვილი
„ერთიანი ეროვნული მოძრაობა“ საპარლამენტო ფრაქციის ადმინისტრაციული მდივანი

ჩვენი ქვეყნის გაბრწყინებაში გადაზრდილმა მწუხარებამ და გლოვამ კიდევ უფრო გაამწარა ეს ბოროტი სულები და მორიგი, აბსოლუტურად უტოპიური მიზანიც დაისახეს — **ცდილობენ, ერთმანეთისგან გამიჯნონ პატრიარქი და სიცოცხლეშივე მისი ძალიან ღრმად ნაფიქრი და გააზრებული არჩევანი.**

ყველა ჭინკამ უნდა იცოდეს, კაბოსანი იქნება თუ საეროპირი, ვინც ბინძურ ხელსა და ენას არ გააჩერებს, ისეთ პასუხს მიიღებს, როგორიც აქამდე ჯერ არავისთვის გაუცია ქართველ ხალხს!

„რეპორტიორი“

ბექა დავითულიანი
თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

პატრიარქთან გამოსამშვიდობებლად მოსული ხალხი იყო დასტური იმისა, რომ **ეს ქვეყანა არასდროს დამარცხდება!**

„იმედინიუსი“

მდგომარეობაში ყაზახები აყენებენ რკინიგზასა და რკინიგზელებს. ჩვენ კი ყველაზე მძიმე, ცუდი მაჩვენებლები გვაქვს როგორც ხელფასით, ისე პროდუქტიულობით, მომსახურებითა თუ ინფრასტრუქტურით.

— რკინიგზაში შექმნილ ვითარებაზე უმძიმესი ინტერვიუ მოგვცა რკინიგზის თანამშრომელმა გია ყრუაშვილმა, თუმცა, მერე ეს ყველაფერი უარყო — შევცდი, ტყუილი ვთქვი და პატიოსან ხალხს — კოკა გუნცაძეს, დაჩი ცაგურიასა და სხვებს, ცილი დავწამეო! რას იტყვით?

— **ბია ყრუაშვილი** თავის დროზე „მეცნიერთა კონგრესში“ მოვიდა და რკინიგზაში შექმნილ ვითარებაზე ისეთი რამეები მოგვიყვა, თქვენს მტერს! ამ თემით ჩვენი დაინტერესებაც სწორედ მაშინ დაიწყო. სადგურის მოედანზე როცა ამოვდივარ, ვხედავ, ადამიანები სხედან და მოწყალებას ითხოვენ. ზოგს ფეხი არა აქვს, ზოგს — ხელი და ტირიან... ბევრს გამოვლაპარაკებივარ და თითქმის ყველა ყოფილი რკინიგზელია. ერთმა პიროვნებამ, რომელიც საშუალო რგოლის სპეციალისტი იყო, მითხრა: **„ჩვენ ავაშენეთ ობიექტები, რკინიგზის ფული დაიხარჯა და როგორც კი აშენდა, მერე მამუაა ხაზარაძეს მიყიდესო!“** რკინიგზის მთელი ობიექტები გაყიდულია! ვისაც მოესურვებოდა რამის წაღება, აძლევდნენ. იმ პერიოდში **ხაზარაძეს** რაც მოუნდა, მიიღო. **არჩევნების დროს ხაზარაძის დიდი სურათი, სადაც იბი მსოფლიო რუკას უყურებს, სწორედ რკინიგზის შენობაზე იყო გამოფენილი.** დღეს საქართველოს რკინიგზის შემოსავლების ძირითადი წყარო (85-90 პროცენტის ფარგლებში) სატრანზიტო გადაზიდვებია. რა იყო ადრე? ეს მაჩვენებელი 70 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა. რკინიგზას 75 სხვადასხვა დასახელების დეტალი სჭირდება და აქედან 50-ს საქართველო თავად აწარმოებდა. დღეს ეს ყველაფერი გავერანებულია.

სასწაულ რამეს გეტყვით:

რკინიგზას რკინაბეტონის „შპალების“ საკუთარი ქარხანა ჰქონდა. ევროკავშირის დახმარებით 10-მილიონიანი გრანტიც კი მიიღეს. ერთი „შპალის“ წარმოება 45 დოლარი უჯდებოდათ. მერე გაყიდეს ეს საწარმო და დღეს იმავე

საწარმოსგან თავად ყიდულობენ თითო „შპალს“ 180 ლარად!

„სიმენსმა“ რკინიგზისთვის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების საწარმო გააკეთა. ეს იყო გარანტირებული ხარისხი, რომელსაც წელიწადში 100 მილიონის შემოტანა შეეძლო. დღეს, როგორც ამბობენ, ეს ობიექტი **ვანო მერაბიშვილთანაა** დაკავშირებული. გაიყიდა ისიც... მოკლედ, ყველაფერი დანაწილებულია და ისევ და ისევ **ვანო მერაბიშვილთან** და მის გარემოცვასთანაა დაკავშირებული.

— ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, რკინიგზის დღევანდელი ხელმძღვანელობა რას აკეთებს?

— ერთადერთი, ჩვენი რკინიგზა აღმოჩნდა ისეთ მდგომარეობაში, რომლის ხელმძღვანელობაშიც არაპროფესიონალები სჭარბობენ!

საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელად პროფესიონალი და ღარგის სპეციალისტი კარგა ხანია, აღარ ყოფილა. როგორც გითხარით, საქართველოს რკინიგზა მმართველი გუნდის პარტიული აქტივის

თავშესაფრად და მთავარ საგზლად იქცა!

საქართველოს რკინიგზაში უმაღლესი ადმინისტრაციის წარმომადგენელთა ხელფასები **25 ათასი ლარიდან** იწყება, რასაც ემატება ბონუსები. რიგითი მემანქანის ხელფასი კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, **1500 ლარია** და მას ბონუსს არავინ აძლევს!

— დღეს ჩვენი რკინიგზის გამტარუნარიანობა როგორია?

— გამტარუნარიანობა შემცირებულია! 2004 წელს ტვირთბრუნვა 23 მილიონი იყო. დღეს კი, ამათი პროგნოზით, 2030 წელს შეიძლება მიაღწიონ 20 მილიონს. რეალური შემოსავალი 2022-2024 წლებში 610 მილიონი დოლარი იყო მაშინ, როდესაც 2001-2003 წლებში ბევრად უფრო ნაკლებ მასშტაბზე ვიყავით, მაგრამ 480 მილიონი დოლარის შემოსავალი მაინც ჰქონდა! წმინდა მოგება 2002-2003 წლებში 45 მილიონს შეადგენდა და რკინიგზას ვალი არ ჰქონია, ხოლო დღეს უწყებას 1 მილიარდი დოლარი ვალი აქვს! საქართველოს რკინიგზაში არავითარი სტაბილურობა და ეკონომიკური ანალიზის სისტემა არ არსებობს.

რკინიგზა კორუფციის უდიდესი ბუდეა. ვურჩევ ხელისუფლებას: შეხვდეს ძლიერ სპეციალისტებს და მოუსმინოს! დანიშნოს რკინიგზის ხელმძღვანელად პროფესიონალი და შეუშვას საქართველოს რკინიგზაში დამოუკიდებელი აუდიტი!

— თქვენი აზრით, ბიძინა ივანიშვილმა ამ ყველაფრის შესახებ არ იცის?

— **საპარაუდოდ, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ამაზე არაფერი იცის და საქართველოს რკინიგზაში შექმნილი ვითარების შესახებ არასწორ ინფორმაციას აწვდიან!** სწორედ ამიტომ ვამბობ: მოგვცენ საშუალება, რომ რკინიგზაში 10-15-კაციანი ჯგუფი შევიდეს; ერთ თვეში დავდებთ ანალიზს და მერე მიხვდება ბატონი ბიძინა, რომ დღეს საქართველოში დამოუკიდებელი აუდიტი არ არსებობს! აუდიტი პოლიტიზებულია — წერენ იმას, რაც ხელისუფლებისთვისაა მისაღები. **დამოუკიდებელ აუდიტს რკინიგზაში არ უშვებენ, რათა რეალური ვითარება და კორუფცია დაფარონ!** საერთო ჯამში, შეგვიძლია, ჩამოვაყალიბოთ საქართველოს რკინიგზის 9 მთავარი სუსტი მხარე:

1. უზარმაზარი ვალის ტვირთი, რომელიც უკვე 1 მილიარდ დოლარს შეადგენს;

2. დაბალი წმინდა მოგება, რომელიც პრაქტიკულად ნულის ტოლფასია;

3. ჭარბი დასაქმება და ხელოვნურად გაბერილი შტატები.

ჩვენი კვლევით, საქართველოს რკინიგზაში 12 ათასამდე ადამიანია დასაქმებული, რეალური გათვლებით კი მხოლოდ 5 ათასი თანამშრომელია საჭირო!

4. ძალიან დაბალი პროდუქტიულობა; ჩვენთან პროდუქტიულობა დაახლოებით 50 ათასია, გერმანიაში — 150 ათასი, პოლონეთში — 100 ათასი.

5. მოძველებული და განადგურებული ინფრასტრუქტურა;

6. გაყიდული ობიექტები (შპალებისა და კაბელების საწარმოები);

7. ტრანზიტზე გადაჭარბებული დამოკიდებულება (85-90 პროცენტი);

8. არაეფექტიანი მენეჯმენტი და არაპროფესიონალების სამრავლე ხელმძღვანელობაში;

9. კატასტროფული ტექნოლოგიური ჩამორჩენა.

საშუალო ხელფასსაც შეხედეთ: ჩვენთან რკინიგზაში საშუალო ხელფასი **1200-1500 ლარის ფარგლებშია,** აზერბაიჯანში — **600 დოლარის ფარგლებშია,** ხოლო ყაზახეთში — **800 დოლარის ფარგლებში,** რაც 2 ათას ლარზე მეტია. როგორც უკვე მოგახსენეთ, ამ დროს საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელებს უზარმაზარი ბონუსები და პრემიები აქვთ. წარმოიდგინეთ, რა ეკონომიკურ აბსურდში ვცხოვრობთ: ლილოს ბაზრობას საქართველოს ბიუჯეტში ორჯერ მეტი თანხა შეაქვს, ვიდრე მთელი სოფლის მეურნეობის სექტორს ერთად! სათამაშო ბიზნესი, რომელსაც 100-მილიარდიანი ბრუნვა აქვს, ბიუჯეტში მხოლოდ 1 მილიარდს იხდის, ხოლო საქართველოს რკინიგზას, რომელიც ზემოგებაზე უნდა იყოს გასული, 1 მილიარდი ვალი აქვს! **ეს არ არის ეკონომიკა, ეს არის პირდაპირი კორუფცია და ქვეყნის მომავლის ნგრევა!**

ესაუბრა

დიტო ჩუბინიძე

გიორგი გამსახურდია
პოლიტიკის ანალიტიკოსი

ათას სიბინძურესთან ერთად, რა სიბინძურეც მოდიოდა ე.წ. ოპოზიციური მედიებიდან, **ყურში მხვდებოდა ისტერიული ბოდვა იმაზე, რატომ არის ბიძინა ივანიშვილი პატრიარქის პანაშვიდებზე, რატომ გამოთქვამს აზრს და ხალხი რატომ ესალმებაო.** ამ საუკუნეში ქვეყნის ნამუსი და მორალური ავტორიტეტი ეს კაცია!

„რეპორტიორი“

დათო ლორთქიფანიძე
საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრი

იმ პოლიტიკური პარტიისა და მისგან განაყოფგაუყოფლების შეგონებანი ახალი პატრიარქის არჩევის შესახებ გონიერი ქართველი ხალხისათვის არაა საინტერესო. მით უფრო **არ არის საინტერესო იმ პერსონებისა და მათი მხარდამჭერების აზრი, ვინც ეკლესიებს არბევდა, პატრიარქს შავ წვეროსანად მოიხსენიებდა და ამბიონზე უხტებოდა.**

„ჯორჯიან თაიმსი“

თამარ ჩიხრაძე
„ხალხის ძალის“ წევრი

ცრუ დემოკრატიის მიმდევრებო, ხედავთ, რა ხდება საქართველოში? თქვენ რომ ებრძოდით, იმ პატრიარქმა თავისი გარდაცვალებით დაგამარცხათ. **არ ველით თქვენგან დიდსულოვნებას, რომ თუნდაც ამ დღეებში ბოდიშს მოუხდით მის უკვდავ სულს.**

„რეპორტიორი“

თენგიზ შარმანაშვილი
პარლამენტარი

7,5 წელი მომისაჯა გვარამიამ ტვ პირველზე. **არ მიკვირს ასეთი ტიპი, რომელსაც უამრავი ხალხი ჰყავს გამწარებული პროკურორობის დროს, დაპატიმრებებს რომ აანონსებს.** თუმცა, რომ იკითხა აიტანო? — ღირსიც ვიქნები, ასეთი ადამიანების მობრუნება თუ დავუშვი ისევ პროკურორებად.

„პრაიმტაიმი“